გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში

გზამკვლევი შექმნილია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

სარჩევი

შესავალი **4**

I. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სამინისტროში **5**

1. რა არის საჯარო ინფორმაცია? 5
2. ვის აქვს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება? 5
3. რა სახის ინფორმაცია არ არის საჯარო? 5
4. თანამდებობის პირთა მონაცემების საჯაროობა 6

II. როგორ მივიღოთ საჯარო ინფორმაცია სამინისტროსგან? **7**

1. წინასწარ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდზე 7
2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ფორმა 8
3. ბრაილის შრიფტის მცოდნე თარჯიმნის მომსახურება 9
4. სამინისტროსთვის მიმართვა წარმომადგენლის მეშვეობით 9
5. ინფორმაციის გამოთხოვა მხარდამჭერის მიერ 9
6. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი სამინისტროში 10
7. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნიმუში 10
8. განცხადების რეგისტრაცია 11

III. საჯარო ინფორმაციის გაცემა სამინისტროს მიერ **11**

1. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა 11
2. საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმა 11
3. უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე 11

IV. პერსონალური მონაცემების გამოთხოვა **12**

1. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება 13
2. პერსონალურ მონაცემთა გამოთხოვის ფორმა 13
3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა 14

V. გასაჩივრების უფლება **14**

1. სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრება პერსონალური მონაცემების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ 14
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრება 16
3. სასამართლოსთვის მიმართვა 16
4. სპეციალური მოსარჩელე 16

VI. სამინისტროსთან კომუნიკაცია ჟესტური ენის მცოდნე თანამშრომლების დახმარებით **16**

1. კომუნიკაცია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრთან „112“ 16
2. კომუნიკაცია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან 17
3. კომუნიკაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრთან 17

შესავალი

საზოგადოების თავისუფალი წვდომა ინფორმაციაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ერთ-ერთი პრიორიტეტია. ნებისმიერ პირს შეუძლია, მიმართოს სამინისტროს და თავისუფლად მიიღოს საჯარო ინფორმაცია.

სამინისტროს საქმიანობა არის გამჭვირვალე, რაც დაინტერესებულ პირებს აძლევთ საშუალებას, მიიღონ ინფორმაცია სასურველ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, სამინისტროსგან შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სამინისტროს საქმიანობასთან, ხარჯებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (შემდგომში - შშმ პირი). მათ შეუძლიათ სწრაფად და მარტივად მიიღონ საჯარო ინფორმაცია. სამინისტრო უზრუნველყოფს, რომ ყველა პირს თანაბარი ხელმისაწვდომობა ჰქონდეს საჯარო ინფორმაციაზე.

საქართველოს კონსტიტუცია ნებისმიერ ფიზიკურ პირს ანიჭებს უფლებას, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან საჯარო ინფორმაციას. შშმ პირს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული კონსტიტუციური უფლებით მასზე მორგებული მომსახურების გამოყენებით.

პირის უფლება, მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისგან, განმტკიცებულია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 16 ივნისის №450 ბრძანება
- „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით გაცემის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

გზამკვლევი „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში“ შემუშავებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მისი მიზანია, ინფორმაცია მიაწოდოს შშმ პირებს, თუ როგორ ხდება სამინისტროსგან ინფორმაციის მოთხოვნა, როგორ გაიცემა ინფორმაცია და როგორ შეუძლიათ გაასაჩივრონ სამინისტროს უარი ინფორმაციის გაცემაზე.

I. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სამინისტროში

1. რა არის საჯარო ინფორმაცია?

საჯარო ინფორმაცია არის ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი ან სხვა ფორმით არსებული ინფორმაცია, რომელიც დაცულია სამინისტროში აგრეთვე მიღებულია, შექმნილია, დამუშავებულია ან გაგზავნილია სამინისტროს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. სამინისტროში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია არის საჯარო, თუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

გარკვეული ტიპის ინფორმაცია ყოველთვის საჯაროა და მისი გასაიდუმლოება არ შეიძლება. მათ შორის:

- სამინისტროს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- სამინისტროს თანამდებობის პირთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
- სამინისტროს სტრუქტურის აღწერა;
- სამინისტროს დანაყოფთა ფუნქცია-მოვალეობები;
- და სხვა.

2. ვის აქვს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება?

სამინისტროს მუშაობა ეფუძნება საქვეყნოობის პრინციპს. ყველას აქვს უფლება, გაეცნოს სამინისტროში არსებულ საჯარო ინფორმაციას და მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემს.

განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმით ინახავს სამინისტრო ინფორმაციას, განმცხადებელს უფლება აქვს, გამოითხოვოს იგი. ამასთან, თუ სამინისტრო ინფორმაციას ინახავს სხვადასხვა ფორმით, მაშინ პირს შეუძლია, თავად აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა.

შშმ პირებისთვის სამინისტრო, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას მათთვის სასურველი ფორმით. ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია. თანასწორობის პრინციპის დაცვით, სამინისტრო ითვალისწინებს თითოეული განმცხადებლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

3. რა სახის ინფორმაცია არ არის საჯარო?

სახელმწიფო საიდუმლოება - სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოებად. ასეთი ინფორმაცია აღარ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

პირადი საიდუმლოება/პერსონალური ინფორმაცია - შესაბამისი კანონიერი საფუძვლის გარეშე სამინისტროს ეკრძალება ისეთი ინფორმაციის გაცემა მესამე პირებისთვის, რომელიც შეიცავს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს. ინფორმაცია ისე უნდა გაიცეს, რომ არ მოხდეს სხვა პირის უფლებების ხელყოფა.

პროფესიული საიდუმლოება - ინფორმაცია, რომელიც სამინისტროს თანამშრომლისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში და წარმოადგენს

სხვა პირის პერსონალურ მონაცემს ან კომერციულ საიდუმლოებას.

კომერციული საიდუმლოება - კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კომერციულ მიზნებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება ინფორმაცია, თუ სამინისტროს რომელი თანამშრომელი მონაწილეობდა გადაწყვეტილების მომზადებაში/მიღებაში.

4. თანამდებობის პირთა მონაცემების საჯაროობა

სამინისტროს საქმიანობა ეფუძნება ღია მმართველობის პრინციპს. სამინისტრო, თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის საკითხს განიხილავს ინდივიდუალურად, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მონაცემების უნივერსალურ ჩამონათვალს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თანამდებობის პირები ყოველწლიურად ვალდებულნი არიან წარადგინონ თანამდებობრივი პირის დეკლარაციები, რომლებიც დეტალურად ასახავს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრების ქონებრივ მდგომარეობას. აღნიშნული დეკლარაციები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://acb.gov.ge/ .

II. როგორ მივიღოთ საჯარო ინფორმაცია სამინისტროსგან?

1. წინასწარ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდზე

სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდია www.police.ge. აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებულია ღილაკი „საჯარო ინფორმაცია“, რომლითაც შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის სპეციალურ ვებგვერდზე www.info.police.ge გადასვლა.

სურათი 1: სურათზე წარმოდგენილია სამინისტროს ვებგვერდის მთავარი გვერდი. წითელი ისრით მონიშნულია საჯარო ინფორმაციის სპეციალური ვებგვერდი.

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სამინისტრო, როგორც მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ასევე, საკუთარი ინიციატივით, პროაქტიულად აქვეყნებს მოქალაქეებისთვის საინტერესო ინფორმაციას.

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდის www.info.police.ge გამოყენებით. ეს სამინისტროს საქმიანობას გამჭვირვალეს ხდის, მათ შორის შშმ პირებისთვის.

www.info.police.ge-ს მეშვეობით შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ისეთ საკითხებზე, როგორიც არის:

- სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
- სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები;
- სახელმწიფო ქონების განკარგვა;
- ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსება/ხარჯთაღრიცხვა;
- და სხვა.

სამინისტროს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) მუდმივად უზრუნველყოფს სპეციალურ ვებგვერდზე (www.info.police.ge) საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას.

სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები (შემდგომში - სსიპ) და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები (შემდგომში - სსდ) დამოუკიდებლად უზრუნველყოფენ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას საკუთარ ვებგვერდებზე.

ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია უწყებების დასახელებები და მათი ვებგვერდების მისამართები, ე.წ. ლინკები, სადაც განთავსებულია საჯარო ინფორმაცია.

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	https://125.ge/ge/page/about-public-%20information
სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“	https://112.gov.ge/?page_id=4916
სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	https://www.sa.gov.ge/d/commands
სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	http://policeacademy.gov.ge/ka/public-information
სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	https://police.ge/ge/lepl/shss-djanmrtelobis-%20datsvis-samsakhuri
სსდ საქართველოს სასაზღვრო პოლიცია	https://bpg.gov.ge/page/public-information
სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	https://es.gov.ge/page/511

2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ფორმა

სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია:

- მატერიალური ფორმით (განაცხადის წარდგენით);

- ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (police@mia.gov.ge);
- სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული შესაბამისი ელექტრონული მომსახურების სერვისის საშუალებით (https://info.police.ge/request);
- ელექტრონული სერვისების საერთო პორტალის - MY.GOV.GE მეშვეობით.ან სხვა ელექტრონული პორტალი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელშიც უნდა მიეთითოს საკონტაქტო ინფორმაცია, ფაქტობრივი მისამართი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

განცხადება არ საჭიროებს რაიმე დასაბუთებას, თუ რატომ ან რა მიზნით სურს პირს ინფორმაციის მიღება.

3. ბრაილის შრიფტის მცოდნე თარჯიმნის მომსახურება

უსინათლო და მცირემხედველ პირებს შეუძლიათ მიმართონ სამინისტროს ბრაილის შრიფტის გამოყენებით. სამინისტრო კი მოახდენს აღნიშნული განცხადების გაშიფვრას.

4. სამინისტროსთვის მიმართვა წარმომადგენლის მეშვეობით

სამინისტროსგან ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია, როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მიერ. როდესაც სამინისტროსგან პერსონალური მონაცემების გამოთხოვა ხდება წარმომადგენელის მეშვეობით, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი წესით დამოწმებული (სანოტარო წესით) მინდობილობა. მინდობილობისგან განსხვავებით, მხოლოდ ორდერით, ადვოკატი ვერ შეძლებს პირის პერსონალური მონაცემების გამოთხოვას.

5. ინფორმაციის გამოთხოვა მხარდამჭერის მიერ

თუ შშმ პირს სასამართლოს მიერ დანიშნული ჰყავს მხარდამჭერი, მაშინ სამინისტროსთვის მიმართვა შეუძლია მხარდამჭერს. ამისათვის საჭიროა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვროს მხარდაჭერის ფარგლები და მხარდამჭერის უფლება-მოვალეობები, მათ შორის, აქვს თუ არა მხარდამჭერს უფლება გამოითხოვოს მონაცემთა სუბიექტის (მხარდაჭერის მიმღები) პერსონალური ინფორმაცია.

შესაბამისად, როცა მხარდამჭერი მიმართავს სამინისტროს, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, აუცილებელია სამინისტროში წარდგენილ იქნეს საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სადაც იქნება დაფიქსირებული დეტალური ჩანაწერი მხარდამჭერის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით.

6. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი სამინისტროში

სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, მათ შორის ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებაზე, პასუხისმგებელია სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საჯარო ინფორმაციის სამმართველო.

სამინისტროს სსიპ-ებსა და სსდ-ებს თავად ჰყავთ განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები.

სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირია: საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი; ტელეფონი: (+995 32) 2 41 10 69; ელ-ფოსტა: police@mia.gov.ge; მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №10.

7. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნიმუში

შინაგან საქმეთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განმცხადებლის სახელი, გვარი ----- -----

პირადი ნომერი ----- -----

განმცხადებლის მისამართი: ----- -----

განმცხადებლის ტელეფონი: -----

განმცხადებლის ელ. ფოსტა: -----

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, მომაწოდოთ ინფორმაცია 2011 წლიდან დღემდე სამუშაო ადგილზე (საწარმოო პროცესში) დაღუპული და დაშავებული ადამიანების რაოდენობის შესახებ, წლების მიხედვით.

გთხოვთ, ინფორმაცია გამომიგზავნოთ ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: ----- --.

პატივისცემით,

სახელი გვარი ----- -----

ხელმოწერა ----------

თარიღი: -----

8. განცხადების რეგისტრაცია

სამინისტრო უზრუნველყოფს განცხადების დარეგისტრირებას და სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებას. განმცხადებელს აქვს უფლება, მოითხოვოს განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია იმავე დანაყოფიდან სადაც წარდგენილ იქნა განცხადება, სამინისტროს დანაყოფების საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ მისამართზე, ე.წ. ლინკზე: https://info.police.ge/page?id=15

III. საჯარო ინფორმაციის გაცემა სამინისტროს მიერ

1. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა

სამინისტრო საჯარო ინფორმაციას განმცხადებელს აწვდის დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ:

- საჭიროა ინფორმაციის მოძიება და დამუშავება სამინისტროს სხვა დანაყოფიდან/ ან საჯარო დაწესებულებიდან;
- საჭიროა დიდი მოცულობის ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება.

ინფორმაციის გაცემის ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმა

საჯარო ინფორმაცია გაიცემა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. სამინისტრო ითვალისწინებს განმცხადებლის თხოვნას, ინფორმაციის კონკრეტული ფორმით მიღებასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს, სამინისტრო ვალდებულია, დაამუშაოს, დაშტრიხოს პერსონალური მონაცემები და მხოლოდ ამ ფორმით გასცეს იგი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაძლოა არსებობდეს გარემოებები, როდესაც, დაშტრიხვის მიუხედავად, რჩებოდეს პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობა, მსგავს შემთხვევაში სამინისტრო ვერ მოახდენს მონაცემების მიწოდებას.

3. უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

სამინისტრომ შესაძლებელია უარი განაცხადოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე თუ:

- განმცხადებლის მოთხოვნა ბუნდოვანია და არ იძლევა საჯარო ინფორმაციის განსაზღვრის საშუალებას;

- თუ მოთხოვნა აშკარად არაგონივრულია, მაგალითად, როდესაც განმცხადებელი ითხოვს არაპროპორციულად დიდი რაოდენობის ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებასა და გამოკვლევას;
- მოთხოვნა, რომელიც აშკარად მიზნად ისახავს სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფის მუშაობის შეფერხებას, მაგალითად, თუ განმცხადებელი განუწყვეტლივ/განმეორებით ითხოვს ერთსა და იმავე ინფორმაციას დროის მოკლე პერიოდში.

უარის თქმის აღნიშნული საფუძვლები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს და მათ ითვალისწინებს ასევე ევროპის საბჭოს „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის ახსნა-განმარტებითი ანგარიშიც.

IV. პერსონალური მონაცემების გამოთხოვა

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს, არის პერსონალური მონაცემი.

პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იცავს პირთა პერსონალურ მონაცემებს. ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს, არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს და გაიცეს სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის სახით. შესაბამისად, სამინისტრო უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები და ლეგიტიმური მიზნები.

პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ სამინისტროში დაცული მონაცემი.

განცხადების ნიმუში სხვა პირის პერსონალური მონაცემის გამოთხოვისას

შინაგან საქმეთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განმცხადებლის სახელი, გვარი ----- -----

პირადი ნომერი ----- -----

განმცხადებლის მისამართი: ----- -----

განმცხადებლის ტელეფონი: -----

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ, პირის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაცია.

სახელი გვარი ----- -----

ხელმოწერა ----------

თარიღი: -----

1. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება

სამინისტრო ვალდებულია, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან.

ელექტრონული ფოსტის მეშვეობით პერსონალური მონაცემების გამოთხოვა და მიღება დაუშვებელია, რადგანაც იგი არ იძლევა განმცხადებლის სრულყოფილი იდენტიფიკაციის საშუალებას და არსებობს რისკი იმისა, რომ მონაცემები მიწოდებულ იქნეს არაუფლებამოსილი პირისთვის.

პერსონალური მონაცემების გამოთხოვა შესაძლებელია ელექტრონული სერვისების საერთო პორტალის - MY.GOV.GE (შემდგომში - MY.GOV.GE) მეშვეობით. აღნიშნული პორტალი შექმნილია „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მიერ და შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს. შესაბამისად, სამინისტრო უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების მიწოდებას აღნიშნული პორტალის მეშვეობით.

2. პერსონალურ მონაცემთა გამოთხოვის ფორმა

სამინისტროსგან პერსონალურ მონაცემთა გამოთხოვა სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი

- წერილობითი განცხადება - პერსონალური მონაცემების გამოთხოვა შესაძლებელია წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა სამინისტროს შესაბამის დანაყოფში ხელმოწერილი (განმცხადებლის ხელმოწერა) განცხადების წარდგენა, პასუხს კი პირი მიიღებს მის მიერ განცხადებაში მითითებულ მისამართზე. სამინისტროს შესაბამის დანაყოფში პასუხის პირადად ჩაბარებისას აუცილებელია მიმღებს თან ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- MY.GOV.GE - პერსონალური მონაცემების გამოთხოვა შესაძლებელია ასევე ელექტრონულად, MY.GOV.GE -ის მეშვეობით. განცხადების წარდგენისთვის საჭიროა

- კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის არსებობა, რათა მოხდეს განმცხადებელი პირის იდენტიფიცირება. პირი განცხადებაზე პასუხს იღებს MY.GOV.GE -ის მეშვეობით;
- სხვა ელექტრონული ფორმით - სამინისტროსთვის განცხადების წარდგენა ასევე შესაძლებელია სხვა ელექტრონული სისტემის (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის) მეშვეობით შესაბამისი ავტორიზებული პირის მიერ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ელექტრონული სისტემა იძლეოდეს პირის ზუსტი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. თუ განცხადება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, დაინტერესებულ პირს პასუხი დაუბრუნდება იმავე ფორმით.

3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა

სამინისტრო უფლებამოსილია, განმცხადებელს არ მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია, თუ ამ ინფორმაციის გაცემამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას ან პირის/სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

V. გასაჩივრების უფლება

1. სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრება პერსონალური მონაცემების მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ

თუ პირის მოთხოვნა პერსონალური მონაცემების მიღებაზე არ დაკმაყოფილდა ან დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, მას უფლება აქვს, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება და ამ მიზნით მიმართოს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის ზემდგომს ან საერთო სასამართლოს.

ადმინისტრაციული საჩივრის ნიმუში:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის/წარმომადგენლის სახელი/გვარი, პირადი ნომერი

_____

ფაქტობრივი მისამართი

_____

იმ დანაყოფის დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი/მოქმედება საჩივრდება

_____

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება

_____

ტელეფონის ნომერი

_____

_____

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

(გთხოვთ, ქვემოთ მიუთითოთ საჩივრის ტექსტი)

_____

_____

_____

- ადმინისტრაციულ საჩივარში გარკვევით უნდა მიეთითოს მოთხოვნა, ასევე გარემოებანი, რომელებსაც ეფუძნება მოთხოვნა;
- თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

დანართი (არსებობის შემთხვევაში):

1._____

2._____

(ფურცლების საერთო რაოდენობა: ---)

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის ხელმოწერა --------

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის თარიღი --------

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის წესი და ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: https://info.police.ge/page?id=45.

ადმინისტრაციული საჩივარი წარედგინება გადაწყვეტილების გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან (როდესაც დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ) ერთი თვის ვადაში.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება აქვს სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნის/დამუშავების, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ) გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს საერთო სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

3. სასამართლოსთვის მიმართვა

თუ პირის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდება, მას აქვს უფლება, სარჩელით მიმართოს საერთო სასამართლოს და მოითხოვოს როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილების შეცვლა, ისე ანაზღაურება, თუ პირს მიადგა ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი.

4. სპეციალური მოსარჩელე

სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაცია არის დაინტერესებული მხარე, რომელიც სპეციალური წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე იცავს შშმ პირთა უფლებებს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში. ისინი უფლებამოსილნი არიან, უწყებებს მიმართონ განცხადებითა და სარჩელით/საჩივრით, თუ საქმე ეხება შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას ან/და ამ სფეროში სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებას.

სპეციალური მოსარჩელე ზემოხსენებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილი აქვს შშმ პირთა უფლებების კოლექტიურ დარღვევას ან სავარაუდო დარღვევას.

VI. სამინისტროსთან კომუნიკაცია ჟესტური ენის მცოდნე თანამშრომლების დახმარებით

1. კომუნიკაცია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრთან „112“ (შემდგომში „112“)

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მოქალაქეებს სთავაზობს დაკავშირების ალტერნატიულ არხს, ხუთენოვან მობილურ აპლიკაციას (ქართული,

ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული), რომელიც მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე და რომელსაც აქვს IOS და Android პლატფორმების მხარდაჭერა. აპლიკაციის მეშვეობით ნებისმიერ პირს შეუძლია გამოიყენოს ზარის ფუნქცია, ჩუმი განგაშის ღილაკი (SOS) და ოპერატორთან მიმოწერა (ჩატი). აპლიკაციის ნებისმიერი ფუნქციის გამოყენებისას შესაძლებელია პირის ადგილმდებარეობის დადგენა. სერვისი ხელმისაწვდომია მთელი ქვეყნის მასშტაბით, ნებისმიერ დროს 24/7.

აღსანიშნავია, რომ ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს საშუალება აქვთ ვიდეოზარით დაუკავშირდნენ „112“-ის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორებს.

„112“-ს ჰყავს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისგან შემოსული შეტყობინებების მართვას. „112“-ში დასაქმებულნი არიან სურდო ოპერატორები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგი და სრულყოფილად ფლობენ ქართულ ჟესტურ ენას.

2. კომუნიკაცია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან

სამინისტროს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ჰყავს მოსამსახურეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგი და სრულყოფილად ფლობენ ქართულ ჟესტურ ენას. საჭიროების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფენ შშმ პირთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ადაპტირებული ფორმით.

3. კომუნიკაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრთან

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრს ჰყავს მოსამსახურეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგი ჟესტურ ენაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფენ შშმ პირთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას მათთვის მისაღები ფორმით.